ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილი - 150

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია **2026 წლის 24-25 აპრილს** გამართავენ **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილისადმი** მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას - **ივანე ჯავახიშვილი - 150.**

იმუშავებს შემდეგი სექციები:

საქართველოს ისტორია; მსოფლიო ისტორია, ქართული ლიტერატურა; ლიტერატურათმცოდნეობა; თარგმანმცოდნეობა; ენათმეცნიერება; ქართული ენა; კავკასიოლოგია; ეთნოლოგია-ანთროპოლოგია; არქეოლოგია; ფილოსოფია; ხელოვნების ისტორია და ვიზუალური ხელოვნება; კულტურის კვლევები; სოციალური მეცნიერებები; ეკონომიკა, ეკონომიკის ისტორია; სამართალი და სამართლის ისტორია; ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები; მედიცინა.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2026 წლის 31 მარტამდე თეზისები უნდა გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: javakhishvili150@tsu.ge

კონფერენციაში მონაწილეობის ფორმატი: დასწრებული (მოხსენება).

კონფერენციის ჩატარების ადგილი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

სამუშაო ენები: ქართული და ინგლისური.

- **საკონტაქტო პირი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი; ekaterine.navrozashvili@tsu.ge

იხ. თეზისების გაფორმების წესი:

<u>გაერთიანებულ დოკუმენტში (MS Word) გთხოვთ შეიტანოთ შემდეგი მონაცემები:</u>

-

1. ავტორის სახელი და გვარი ქართულად და ინგლისურად;

2. თეზისების სათაური ქართულად და ინგლისურად;
3. ორგანიზაციის დასახელება ქართულად და ინგლისურად;
4. ფაკულტეტის დასახელება ქართულად და ინგლისურად;
5. თეზისების ძირითადი ტექსტი ქართულად და ინგლისურად;
6. **3-5 საკვანძო სიტყვა ქართულად და ინგლისურად;**
7. ფორმატი — **A4**
8. შრიფტი — **UNICODE (Sylfaen)**
9. თეზისების ტექსტი დაიწყეთ მომდევნო, ახალი გვერდიდან, **12 ზომის** შრიფტით.
10. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში.
11. თეზისის მოცულობა: 300-300 სიტყვა.
12. თავფურცელი გააფორმეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- **ავტორ(ებ)ი — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- **სათაური — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- ორგანიზაცია, მაგ., **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- **ფაკულტეტის დასახელება — 12 ზომის** შრიფტით ცენტრში;
- **საკვანძო სიტყვები;**
- **თეზისების ძირითადი ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე - 12 ზომის** შრიფტით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, არასწორად გაფორმებული თეზისები არ მიიღება!